8
1955
ეროვნული ბიბლიოთეკა
ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

მოხუცი—კაცმა რომ თქვას, მე შენზე ახალგაზრდა გამოვდივარ: შენ 1916 წელსა ხარ დაბადებული, მე კი ნამდვილად ჩვიდმეტი წლის ოქტომბერში დავიბადე.

ნიანგი

№ 21 გამომცემლობა „კომუნისტი" წელი XXXIII ფასი 2 მან. თბილისი ნოემბერი 1955

ნახ. ა. ბანძელაძისა

ეკონომისტი—მომილოცავს, 48 წლის გამხდარხარ!

მუშა—რას ამბობ, კაცო? მე და ოქტომბერი ერთი ახაკიხა ვართ. ეგ სად გამოიანგარიშეთ?

ეკონომისტი—ქარხანაში... გუშინ შევაჯამე, 1965 წლის ანგარიშში მუშაობ!

ტროტუარზე ქალაქი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტროგაყვანილობის სარემონტო ავტომანქანა შუა ქუჩაში გაჩერებულიყო და კუდივით მაღლა აეპრიხა მრგვალი, მოძრავი ბაქანი, რომელზეც სპეცტანისამოსში გამოწყობილი კაცი იდგა და უზარმაზარ პლაკატს ამაგრებდა სახლებს შორის გაბმულ მავთულზე: „გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38 წლისთავს!“, ამოიკითხა პეტრემ პლაკატის მოზრდილი ასოები. ასანთი გაჰკრა, უკვე მესამედ ჩამქრალ პაპიროსს მეოთხედ მოუკიდა და გააბოლა.

ჩაფიქრებული იდგა პეტრე. გულზე ჩამოკიდებული ბუდეგადახსნილი ფოტოაპარატის ობიექტივი კი ცნობისმოყვარე ბავშვივით ათვალიერებდა ქუჩის ცხოვრებას; აგერ, ტრამვაის ლიანდაგებს შორის ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს ნაცნობებმა, შეჩერდნენ და ბაასი გააბეს. ბრაზმორეული რეკავს ტრამვაის ვატმანი, „გადადით, გამატარეთო“, მაგრამ ისინი ყურსაც არ იბერტყავენ. ტროტუარზე ვიღაც თავგამეტებით გაჰყვირის სპორტულ ტერმინებს და ხელში აფრიალებს ათშაურიან ფეხბურთის პროგრამებს, რომელსაც გამვლელები რატომღაც მანეთად ყიდულობენ. იქით, გაქანებულ ტრამვაიდან თავმოძულებულივით გადმოხტა ჭრელპიჯაკიანი ახალგაზრდა და პირისპირ შეჯახებულ მილიციელს ასანთი სთხოვა პაპიროსის მოსაკიდებლად...

პეტრე ბოლთას სცემდა და ფოტოაპარატის ობიექტივში ახლა სხვა სურათებიც ირეკლებოდა: დაწესებულების ეზოში საბარგო ავტომანქანას რთავენ, მაღაზიის ვიტრინა გაულამაზებიათ, სახლის აივნებზე წითელი დროშები ჩამოუკიდიათ, ხეები ფერადი ელნათურებით დაუხუნძლავთ. ერთი სიტყვით, ქალაქი უკვე მზადაა საზეიმოდ, ყველას მხიარული განწყობილება დაუფლებია, მხოლოდ პეტრეა მოწყენილი. უკვე მესამე დღე გადის, რაც რედაქტორისაგან მიიღო დავალება და აქამდე ვერ შეუსრულებია.

გაზეთის საზეიმო ნომერში უნდა გაშუქებულიყო რესპუბლიკის უახლესი მიღწევები ყველა დარგში. ამას, რა თქმა უნდა, სათანადო ფოტოილუსტრაციები სჭირდებოდა. ამუშავდა რედაქციის ფოტოგანყოფილება, სხვადასხვა მხარეს გაემართნენ ფოტოკორესპონდენტები. პეტრე კი თბილისში დარჩა. ანდა რა უნდოდა რაიონში,ტყუილად დაიღლებოდა, დროს გააცდენდა. „გადაიღე ახალდამთავრებული ლამაზი შენობა, სასურველია კულტურული დაწესებულება იყოს: კინო, თეატრი ან სხვა“, უთხრა მას რედაქტორმა. ჰოდა, ამ დავალების შესრულებისათვის განა საჭირო იყო სხვაგან წასვლა? არც სხვა დავალებისთვის მიდიოდა პეტრე ქალაქგარეთ. „თბილისი—აი, ის ერთადერთი ქალაქი, სადაც ფოტოკორესპონდენტი ყველაფერს იპოვნის, რაიონებში სიარული წყლის ნაყვაა“, ასე ფიქრობს პეტრე და უკვე რამდენიმე წელია, რაც ამ პრინციპს არ ღალატობს... თბილისზე უფრო სად მოძებნიდა ახალდამთავრებულ ლამაზ შენობებს? ჰოდა, მოძებნა კიდეც, გადაიღო კიდეც, მაგრამ ამჯერად რედაქტორმა მოულოდნელი ჯიუტობა გამოიჩინა: „საზეიმო ნომერში საუკეთესო საუკეთესოთაგანი უნდა დაიბეჭდოს. ეს კარგია, მაგრამ უფრო კარგი მოძებნეო“. „უფრო კარგად გადაიღეო“ ვეღარ შეჰკადრა რედაქტორმა ძველ ფოტოკორესპონდენტს.

და ეძებს პეტრე „საუკეთესოს საუკეთესოთაგან“, დილიდან გამოსულია რედაქციიდან, მთელი ქალაქი ფეხით მოიარა. გაზაფხულზე აშენებული სახლებიც კი გადაიღო, იქნებ გამოდგესო. ახლა აგერ, კიდევ ერთი შენობა მოუვიდა თვალში, მაგრამ სანამ სარემონტო ავტომანქანა შუა ქუჩაში დგას, ვერ გადაიღებს, ეფარება.

უეცრად პეტრეს ვიღაცამ მძლავრად დაჰკრა ბეჭზე ხელი და მთელი ტანით შემოაბრუნა. თუმცა რას შემოაბრუნებდა, თვითონ პეტრე რომ არ გაბრაზებულიყო და არ შემობრუნებულიყო თავხედისთვის პასუხის გასაცემად.

—პეტრეს ჩემი სალამი!—დაასწრო „თავხედმა“. პეტრე ერთბაშად მოლბა, გამხიარულდა კიდეც. მის წინ ძველი ამხანაგი და კოლეგა იდგა, რაიონული გაზეთის ფოტოკორესპონდენტი.

— სოფლის ინტელიგენციას გაუმარჯოს! — დამცინავად გაიღიმა პეტრემ, — როდის ჩამოხვედი, ვასო?

— გუშინ. რედაქციამ რაღაც დამავალა და... — აღარ დაამთავრა ვასომ, მხარზე გადაკიდული აპარატი შეისწორა.

— როგორა ხარ, პროვინციელო, ქალაქში გზა ხომ არ გეშლება? — პეტრემ თანაგრძნობით გადახედა ამხანაგს, — ეფლობი არა სოფლის ტალახებში? ეცადე, ბიჭო, იქნებ მოახერხო აქეთ გადმოსვლა.

— მეც მაგას გირჩევდი.

— რას?

— იქნებ მოახერხო ჩვენს სოფელში გადმოსვლა, ტალახს მაინც ასცდებოდი. ჩაურტყა ვასომ და თითი პეტრეს გატალახიანებულ ფეხსაცმელებისაკენ გაიშვირა.

— ხუმრობაც დაგჩლუნგებია სოფელში... — მეტი ვერაფერი უპასუხა პეტრემ.

— კარგი ახლა, თავი დავანებოთ ლაზღანდარობას, — გაიღიმა ვასომ, — წამო, ერთად ვისადილოთ, ფუნიკულორზე ასვლა მომენატრა, აგერ ჩემი მანქანა დგას, წამო.

— შენი მანქანა?

— ჰო, ფეხით სიარულს როგორ გაკადრებ ქალაქელ კაცს.

— ამას გადავიღებ და წავიდეთ, — დაბნეულად წარმოთქვა პეტრემ.

სარემონტო მანქანა წასულიყო, უკვე აღარ ეფარებოდა იმ სახლს, რომლის გადაღებასაც აპირებდა პეტრე.

* * *

საღამო ხანს პეტრე რედაქციის ფოტოლაბორატორიაში იჯდა, სინათლე ჩაექრო და წითელ შუქზე ამჟღავნებდა ახალგადაღებულ ფირებს. ძალიან უარობდა, მაგრამ ვასომ ორი ჩაის ჭიქა ღვინო მაინც დაალევინა სადილზე, კიდევ კარგი ჰეტი არ დალია, თორემ ველარ იმუშავებდა. როდესაც ფირები გაშრა, პეტრემ გამადიდებელი აპარატი მოამზადა, საუკეთესო კადრები ამობეჭდა და ჯერ კიდევ სველი სურათები მიურბენინა რედაქტორს.

— უკეთესი, უკეთესი: — იყო პასუხი. „უკეთესადო“, არ შეჰკადრა რედაქტორმა ძველ ფოტოგრაფს, თვითონ მიხვდესო, იფიქრა.

პეტრე შეშფოთებული დაბრუნდა ლაბორატორიაში. ხელახლა გასინჯა ფირები, მაგრამ უკეთესი არაფერი იყო. უეცრად გაახსენდა, რომ უკანასკნელი ფირი ჯერ კიდევ არ ამოეღო აპარატიდან. იმედი მოეცა. აპარატი გახსნა. ფირი ამოიღო და გამჟღავნებას შეუდგა. მაგრამ როდესაც უკვე გამშრალ ფირს სინათლეზე გახედა, გაოცდა, ეუცხოვა. „ეს რა გადამიღიაო“, გაიფიქრა. ვერც ერთი კადრი ვერ იცნო და კინაღამ ეჭვი შეეპარა, ხომ სრულ გონზე ვარ, ჭკუიდან ხომ არ შევიშალეო. ერთ კადრში რომელიღაც უცნობი შენობაც მოჩანდა, ამან სულ განაცვიფრა. სასწრაფოდ დაბეჭდა სურათი და მაშინღა მიხვდა: პეტრეს და ვასოს აპარატები შესცვლოდათ ფუნიკულორზე. სწრაფად ხელი წამოავლო ვასოს აპარატიდან გამოღებულ ფირს, იმ უცნობი შენობის სურათს და რედაქტორისაკენ გაიქცა თავის გასამართლებლად, იმის სათქმელად, რომ უბედურება შეემთხვა, იმის დასამტკიცებლად, რომ ასეთი უბედურება რომ არ მომხდარიყო, პირნათლად ჰქონდა შესრულებული დავალება, მაგრამ ახლა რა ქნას პეტრემ „საუკეთესო საუკეთესოთაგანი“ მის აპარატს გაჰყვა და ა. შ. შევიდა რედაქტორის კაბინეტში, ფირიც და სურათიც მაგიდაზე დაუწყო და...

— აი, ეს მესმის, მშვენიერია, — რედაქტორმა ხელში შეატრიალა იმ უცნობი შენობის სურათი, — ხომ ხედავ, ბევრი ეწვალე, მაგრამ ბოლოს მაინც მიაღწიე შედეგს. ასე უნდა მუშაობა.

— კი, მაგრამ ეს... ეს სურათი, — ენა დაება, პირი გაუშრა პეტრეს.

— ჰო, თავიდან უნდა დაბეჭდო, ცოტა მკრთალია. დაბეჭდე და ახლავე სტამბაში ჩაგზავნე.

— პატივცემულო რედაქტორო, უნდა მოგახსენოთ, რომ...

— რა თქმა უნდა, ბევრს იწვალებდი, ისე არაფერი არ გამოვა. რა შენობაა? თბილისში გადაიღე, თუ რაიონში?

— პატივცემულო რედაქტორო, — უეცრად ხმა გამოეცვალა პეტრეს, — თქვენ წარმოიდგინეთ, ეს რაიონში გადაღებული ფოტოა, იქნებ არ დაიჯეროთ, მაგრამ...

— რა არის დაუჯერებელი... კარგად მოგიფიქრია. რაიონის მიღწევებიც უნდა ვაჩვენოთ.

უეცრად ტელეფონმა დარეკა. რედაქტორმა ყურმილი აიღო და მერე პეტრეს გაუწოდა.

— გთხოვენ.

— მეე?! — გაოცდა პეტრე, მაგრამ მაშინვე მიხვდა ვინც იქნებოდა და თადარიგი დაიჭირა, რომ ზედმეტი არ წამოსცდენოდა.

— ჰო, ვასო, მე ვარ... აბა, კაცო, გავვოცდი... კი, გავამჟღავნე და დავბეჭდე კიდევაც. მაშ... ხვალინდელ ნომერში იქნება...

„რა იქნება?“ — ჰკითხა ყურმილში ვასომ, მაგრამ ეს რედაქტორს არ გაუგონია.

— აი, ის სურათი... შენობა. შენობა... — ფრთხილობდა პეტრე და თან რედაქტორისკენ იყურებოდა.

„რომელი შენობა, ჩვენი სოფლის ახალი კლუბი?“ — ჰკითხა ყურმილში ვასომ, მაგრამ ეს რედაქტორს არ გაუგონია.

— ჰო, ჰო, — თვალები გაუბრწყინდა პეტრეს. — ხვალ მოდი, ყველაფერს გეტყვი.

„ვერ გამიგია, როგორ მოადა ეგ. მაგრამ სასიამოვნო ამბავია; ისე კი იცოდე, ჩემო პეტრე, რომ ჩვენს „ტალახიან რაიონში“ არც ქალაქზე ნაკლები შენობებია და არც ნაკლები ფოტოკორესპონდენტები მუშაობენ, ერთს გადაიღებენ, მაგრამ გემოვნებით გადაიღებენ“. — წარმოთქვა ყურმილში ვასომ. მაგრამ არც ეს გაუგონია რედაქტორს.

ომეზა ალფაიძე

ნახ. გ. ფირცხალავასი



სადღესასწაულო საჩუქარი

ყანაფოტი მზვერავები

სახეალეწილი სანდრო ახალშენებულ ოთხსართულიან სახლს გასცქერის. ლაბაში სახლია, მაგრამ სანდროს ახლა მისი სილამაზე არ აინტერესებს. ეგ კი არა და, მეორნი მობინადრეებმა შეწინწნეს. ვაითე მისი ვინაობაც ვიიგეს, მაშინ ნამდვილად ცუდად წუა სანდროს საქმე. აი, ის ხანში შესული ქალი ფუფუ მეოთხეზე ვამოდის იიკენტე. ეგზეთ ვიფამოცქერის სანდროს. „ლადიკო!"— ეძახის ქალი ეიდაკაკა. სანდროს მკადიოდ ეესმის ამ ქალის ხმა. ოთახიდან მამაკაცი ვამოვიდა. ქალი რაღაცას ეჩურჩულება, თან ცალი თვალით სანდროზე ანიშნებს. მეზობელ იიკენტეკ ვამოჩნდა რომელღაც ქალი. დროა აქედან მოუსვამ სანდროს, თორემ ეს მობინადრეები განზრახავთ შეუტყობენ და მაშინ, ვაი სანდროს ბრალი...

მაგრამ სანდროო ადგილიდან არ იძერის. ის თითქოს მიჩერია ქვიფენილს და ისე ისე დაფიქრებით ათვალიერებს სახლის ფანჯრებს, იიენტეს, სადარბაზო კარს, მაღლით წამოდგმულ ჩუქურთმებიან კოშკს... თითქოს მთელი ეს სახლი ანდამატად ქცეულა, თავისკენ იზიდავს სანდროს, თითქოს ეუბნება: მოდი, დამათვალიერე, მოდი!

უცნაური კია: სანდროო თითქოს იმ სახლის მობინადრეებს შორის დაფრინავს და ვარკვევთო ეესმის ქალების საუბარი:

—აკვარინე, მოიფრ აქეთ. ხედავ იმ ახალგაზრდას?

—ეხედავ, მაგ სინსილგასაწყვეტა, ორი დღეა ამ ჩვენი სახლის წინ ატეზულა. რა დაკარგა, ნეტავი მაკითხენა!

—რა დაკარგა და, რასაც ამ სახლში ეძებს და ვერ უპოვნია, დაკარგულიც ის ეენება.—ერეგა საუბარში ლადიკო.

—რაიო?! შეუფარებული ხომ არ გგონია?

—გადაარიე, ქალო? ადგ ნანაე ახლა ისეთ შეფარებულს, რომ სატრფოს ორი დღე ქუნაში უცადოს!

—აბა, მაშ...

—მე ისე მითქვამს და, სიფრთხილეს თავი არ სტკივა. მეზობლები გაფაფრთხილეთო.

—რა გაფრთხილება უნდა, დღეს ყველა ამ ვიეზე ლაპარაკობს.

უცებ ფანჯარანი სახლში შეეიდნენ. ახლა სხვა აიკენტე გამოჩნდა კიდევ ერთი ქალი. მეორე და მესამე სართულზე ფანჯრები გაიღო, იქიდან მობინადრეებმა გადმოიხედეს, მერე ისევ ჩაკეტეს ფანჯრები და ყველფერი მიჩუმდა.

სანდროო კვლავ ქუჩაში იდგა. მობინადრეები კი ერთმანეთში თათბირობდნენ; უცებო ახალგაზრდის გამოჩნენა ყველას საეკვად მიაჩნდა. ანაზღდად სანდროო გაჩქარა და ამან ეეეი უფრო გაეცხოველა.

—ნამდვილად მიხედა, რომ შეენიშნეთ და მოგვერიდა.—ისაუბრიდნენ ისინი.

—მილიციას შეეიტყობინოთ!

დღე მიიწურა. ქუჩაში ელნათურები ანთთ. ლადიკო ფანჯარასთან მივიდა და პირკეტი ეეკა,— ის ახალგაზრდა სეეტს ამოფარებოდა და ახლა იქიდან ზეციდან სახლს.

—აგრაფინა,—გასძახა ლადიკომ,—გამოჩნდა ის კაეი!

აგრაფინამ მეზობლებს დაუჩინა. ოთხიეე სართულის მობინადრენი ფანჯრიეს მიაწყდნენ და ნაბეეჭიდ ღია დარაბიდან შიშით და ცნობისმოყვარეობით გაბეეტეს დაუპატიეებელ სტუმარს. ეიდაკაკ მილიციაში დარეკა.

—არაეს, აქეთ მოდის! სახლში შემოსელას აპირებს!—აკვარიდ უცებ ლადიკო,—დაიმალეთ!

ოთხი კაეი ვამოიეო „ეზვერავებად". კარი გაიაღეს. დაბლოდან ფეხის ხმა ისმოდა. ეიღაკა მეტად ფრთხილად, კატასავით მოიპარებოდა კიბეზე. „ეზვერავები" კარს ამოეფარნენ და ოდნავ შესამჩნეე ეუქრტატნიდან განაგრძეს დაზვერვა. სანდროო მეოთხე სართულეი მოიაღნა.

—სეეფრიან!—გადაეტრიალეა ლადიკომ ეზობიეეს,—ზეეეთ რომ ეოლ-ქმარი გადმოდეეს ხომ გაბსოეს, სოფელში სახლი გავეყიდეთო, რა ამბობდნენ?..

—ჰო, მერე?

—იმათ ეეიზნეეს. მომყეეთ!

ყველანი სანმნენი ღრიანცელით გაიეჩინა კარებში. პირველი, მეორე და მესამე სართულეი მეეზოურებნი ერთად ავარდნენ ეიბეზე. სანდროო ერთი კი გადაბეედა იერიშით ეზამოსულ მობინადრეებს, რომელთაც ხმლეფილი აყალთო, რომ ნ. ფეეიდ მეოთხეზე დამეფიეებოდნენ და, სეზოგიერი ალერა სხეენისაკენ. ხოლო-ხეთ სათეეზრიო ერთად ეხტებოდა. ეოტიე და ეეკ-ვე მიაღწეეს სხეენის შეასეეფლეს. იქ მეორე კოშკში დაიმალეა. აეერ შეასეეფლეთ. სანდროო მთელი ძალთან მიაწეა კარს და ეს ოხერი კარიე ეწეორედ ალეა გაჯალეტდა. მობინადრენი ყიეენთ შეეოეეეეენენ კეუთეენი მიკუჩეეულ ახალგაზრდას და დაბეა ჩამოაირიეეს.

—მოიკეთ, მოიკეთ, კაეი არ შეეეოგაკეედეთ! შეეჩყერა ლადიკ და სანდროოა და მეზობლეეს ზეეი ჩაეგა.

აკვარინე გაეაჩხლეეეეული მოგარეთ სანდროს:

—ეეი, შე სასაკვდე�d, ზეეს! ზეედეეთ, რა ლამაზად აკეეთ, ამ ეუბდეეს, ვინ იტეეეს ახლა ამაზე, ქურდეთო?!

—ამბანაეეეთ, დაიმაღეეთ, დაიმაღეეთ!—ბოლოსაა ბოიი ხმა და სანდროს მიდეეეეეეენ ეარეფდეა,—თქვენი საბეეთი!

—მე...მე...

—თქვენი საბეეთი!

ზემკრთალეეა სანდროო ეკიბეეი მოიკეეეეა, მოეზ. ბოიი ამოაკერინა. მილიციელმა საბეეთი ზეამოეზეა და ზხრეი აიეზერა:

—არკიტექტორი სანდრო ზხაზეეეეეეტ!—ეეეეარად ოქეეა ბან.

—არკიტექტორი?! — გაკვირეეეეთ ალიმოდა ყველაა.

—დიახ... მე...ესე იგი, ეს მე ოეაზეენ თქვენნ სახლეი... ესე იგი, ჩემი პროეექტეთ აეენდნა და...

—მერე აქ რა გინდათ?—ეკეეეეეე

ზოგიერთი ამერიკული გაზეთის ერთსა და იმავე ნომერში ერთმანეთის საწინააღმდეგო წერილები იბეჭდება ხოლმე განიარაღებისა და შეიარაღების შესახებ.

ნახ. გ. ლომიძისა

ბიზნესმენის გასაჭირი

„რომ ცალი თვალი იცინოდა, ცალი ხტიროდა".

შექსპირი.



ზესტაფონის რაიონის სოფელ მარტოთუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს

ალექსანდრე ყვავაძეს

თავდაპირველად ბოდიში უნდა მოვიხადო თქვენს წინაშე, ძვირფასო ალექსანდრე, ორპირი თავმჯდომარეობა გამოიცვალეთ და ერთხელაც ვერ მოვახერხე თქვენთან ამოსვლა. მართალია, 1950 წელს დავაპირე მარტოთუბანში გამომგზავრება, მაგრამ, რა გამოვიდა, ზესტაფონში თქვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან ციხეში გადაჯდომის ამბავი გავიგე და ბოლმიან გულზე სადღა შემეძლო თქვენი მოძებნა!..

მას შემდეგ ხუთმა წელმა განვლო, ნათლიმამების დახმარებით თქვენ ისევ თავმჯდომარეობა განაგრძეთ, ისევ ისე მარიფათიანად უძღვებით საქმეს. მართალია, კოლმეურნეობის შემოსავალი დღითი-დღე კლებულობს, მაგრამ თქვენ ვინ დაგაბრალებთ ამ საქმეში ღვაწლის შეუტანლობას. დღე არ გასულა ისე, რომ გრძელლამიან ლხინებში თუ ფეხდგომელა სადღეგრძელოებში არ გამოგეთქვათ თქვენი ჩამორჩენისა და მისი გამოსწორების სურვილი, გითქვამთ და გულიც აგჩუყებიათ, დაგილევიათ და ცარიელი ჭიქა მაგიდაზეც დაგირტყამთ და, აბა, მითხარით, კაცს სადღეგრძელო გულში თუ არ ჩასწვდა, განა ჩაის ჭიქას ბოლომდე გამოსცლის?

მეცხოველეობის განვითარებაა და მაგაზე ვინ შეგედავებათ, ჩემო ალექსანდრე! განა თქვენი პირადი ინიციატივით 8.000 მანეთად არ იქნა ნაყიდი ის სამი ბებერი და ავადმყოფი ძროხა, რომელთაგან ორმა უკვე თქვენი ჭირი წაიღო და ერთიც სიკვდილის პირსაა?! კოლმეურნეობის ცხვარია და თქვენი მზრუნველობით ისე კარგად არის მარტოთუბნელებს შორის განაწილებული, რომ დღესაც არავინ იცის, რამდენი სული ჰყავს კოლმეურნეობას. თუმცა რა საჭიროა მისი ცოდნა, როცა თავმჯდომარეს არც სუკის ნაჭერი აკლია და არც კიდევ ჩალაღაჯისა. ყველაფერი ასე კარგად გაქვთ აწყობილი, ჩემო ალექსანდრე, ვერავინ შეგედავებათ, მაგრამ ის არის საკვირველი, რომ თქვენს დანახვაზე გოჭები თუ ჭედილები, ქათმები თუ ბატკნები ისეთ ჰყივილს და ბღავილს ასტეხენ ხოლმე, რომ კაცს სოფელში მგლის შემოსვლა ეგონება. უმადურობა თქვას კაცმა, თორემ რა აქვთ სასაყვედურო! განა მათთვის ალერსი დაგიკლიათ, გაზაფხულის ბატკნებისათვის თუ ერთწლიან უშობლებისათვის იმდენი საალერსო სიტყვები გითქვამთ, რამდენსაც შეყვარებული არ ეტყვის თავზე უფრო საყვარელ სატრფოს. მართალია, საზამთროდ არც სილოსი მოგიმზადებიათ და არც ბინები დაგითბუნებიათ (თავი რომ მიწიან გომურში აქვთ, კუდი ღია ნიავზე უფრიალებთ), მაგრამ დაპირება ხომ ბევრი გითქვამთ და თქვენისთანა თავმჯდომარის პირობა ხომ საქმის მთელი თუ არა, ათი პროცენტი მაინც არის! ისიც საკვირველია, რომ ბატკნის ხორცით ბევრჯერ პირი გაგიქონიათ და შემოსავალში კი ხუთი წლის განმავლობაში ერთიც არ გყავთ აყვანილი.

სოფლის მეურნეობის კულტურათა განვითარებაა და ვერც მაგაზე შეგედავებათ ვინმე. თქვენს პატარა მარტოთუბანში თქვენი და ზოგიერთების წყალობით ისეა მიწის ნაკვეთები განაწილებული, რომ კოლმეურნეობას აღარაფერი რჩება. ასე, მაგალითად: თქვენი საყვარელი საწყობის გამგე ყვავაძე ზედმეტად ფლობს 2732 კვადრატულ მეტრ მიწას, კოლმეურნე ა. სილაგაძე—4550, ა. ცხადაძე—2732, ს. გურგენიძე — 2622, გ. ბარბაქაძე — 2690, ი. ქარუმიძე—1454, დ. კვინიკაძე—1020 მეტრს, ხოლო არაკოლმეურნე ბ. მაღლაკელიძე—3630. ასე რომ განსაზღვრული ნაწილი მიწის ნაკვეთებისა ამგვარადაა გაფანტული და თქვენც, ერთი იუმორისტისა არ იყოს, საკუთარ ბეჭზე ხომ არ დაირტყამთ თოხსა და ბარს? აბა, აქ რა სახსენებელია, მაგრამ ამ მხრივ თქვენც გცოდნიათ თავის ყადრი: ამ ზაფხულს 400 მეტრ კოლმეურნეობის ნაკვეთზე სიმინდი გაგინადგურებიათ და ისეთი პამიდორი, ნესვი და კიტრი მოგიშენებიათ, რომ მათი მაღალპროდუქტიანობა თქვენებურებს დღესაც სალაპარაკოდ აქვთ გამხდარი. დიახაც, რომ ასე უნდა, ძვირფასო ალექსი: ათასი მიმსვლელმომსვლელია, შინაური, გარეული, მოკეთე და ჭამა ხომ უნდათ? ჭამის მხრივ კი, ბუნების ძალამ მოგცეთ, ჩემო ალექსი, და მადას ვერ დაემდურებით, არც საკუთარ თავს ივიწყებთ და არც სხვას უმწარებთ გემრიელ ლუკმას. თქვენი ვაჟკაცური მადის გამო იყო, რომ მაისის თვეში ტრაქტორისტებს ჩ. კამლაძეს და ჯ. გიორგაძეს 10 დღის განმავლობაში, 30 ჰექტარ მიწის მოხვნაში, 3 ცხვარი, 13 ფრთა ქათამი, 1 გოჭი, 5 კილო ყველი, 150 კგ სიმინდი და 412 ლიტრი ღვინო ჩამოაწერეთ. აღნიშნულიდან, ამბობენ, ტრაქტორისტებს მეათედიც არ უნახავთო, მაგრამ რა მოხდა? განა ცოტა მუქთამჭამელია კოლმეურნეობაში, იმათაც ხომ კუჭი აქვთ და რაღა საკვირველია მათ ამოვსებაზეც იზრუნოს თქვენისთანა თავმჯდომარემ!

მართალია, ამ საკითხზე თქვენ არასოდეს უკმაყოფილება არ გამოგითქვამთ, მაგრამ უთქვენოდაც ვიცი, რომ თქვენი რაიონის ძველი პასუხისმგებელი ამხანაგები ახალ მთვარესავით იშვიათად გამოჩნდებოდნენ ხოლმე მარტოთუბანში: განა გაემტყუნებოდათ, ჩემო ალექსანდრე, მარტოთუბანში საავტომობილო გზა არ ამოდის და უფროსი ამხანაგის უმანქანოდ სოფელში ამოსვლა, ხომ მოგეხსენებათ, როგორი ძნელია?! მარტოთუბანი მარტოობდა და თქვენც ყოველგვარი ხელის შეშლის გარეშე განაგრძობდით ჭამას და დროს ტარებას. გაზაფხულზე ბატკნებს მიირთმევდით, ზაფხულში—ვარიკებს, შემოდგომაზე—უშობლებს და ზამთარში—ყელმოღერებულ გოჭებს. ბუნების ძალამ მოგცეთ, ჩემო ალექსი, ჭამის შეძლება, მეტი რა შერჩება კაცს ამ პატარა წუთისოფელში! ჭამა და სმა ადამიანის მოგონილია და თქვენც აბა, ვინღა დაგადებთ პირზე კლიტეს!

კიდევ და კიდევ ჯანმრთელობას გისურვებთ, საყვარელო ალექსი, მიგულეთ მუდამ თქვენთან.

პატივისცემით ნიანგი

ნიანგის ლექსიკონი

დრამა—როცა დრამატულ თეატრში ხალხი არ დადის.

თანაავტორი—როცა პიესას წერს ერთი, მეორე კი—ხელშეკრულებას.

თარგმანი—თარგმნილის გადათარგმნაა დაბეჭდვის წინ.

კომედია—ერთ დროს გ. ერისთავი წერდა. (ერთხელ პ. კაკაბაძესაც წამოცდა).

მოსაცდელი ოთახი—შეცდომით წერენ ასე; უნდა იყოს: მოსაცდენი ოთახი (ზოგიერთ სამინისტროში).

მხაჯი—ხანდახან გუგულს ჰგავს, მხოლოდ კვერცხების მაგივრად ბურთებს დებს სხვის ბადეში.

სტილისტური შეცდომები—რუსთაველის პროსპექტზე მოსეირნე „სტილნი" ახალგაზრდები.

ტროლეიბუსი—ჯიბესთან ნახე.

ტყავი—რევიზია რომ საწყობის გამგეს არ აძრობს, ის არის.

ჯიბე—სჯობს ტროლეიბუსშივე ნახო.

ჯოხი—დირიჟორს უჭირავს ხოლმე ზოგიერთი ახალი ოპერის მოსაგერიებლად.

შეადგინა გლახუნა ლაზმა.

მეგობრული შარჟი დონისა

დასაბუთებული პასუხი

ა. ბუთიკაშვილმა გამოაქვეყნა მონოგრაფიების სერია ძველი ქართული თეატრის გამოჩენილ მსახიობთა მოღვაწეობის შესახებ.

—რაა, ხულ რომ გარდაცვლილებს
უძღვნი წიგნებს არმალანად,—
რა იქნება ჩვენც, ცოცხლებიც,
გაგვიხხენო ხანდახანა?

—გარდაცვლილის საქმე ვიცი,
თუნდ შევცოდო—მაპატიებს,
ცოცხალი კი, თუ არ ვაქე,
შარს მომდებს და შურს იძიებს!

ქუთაისელმა მაყურებლებმა თეატრის ახალი შენობა მიიღეს, ძველი კი ფილარმონიას გადაეცა.

ნახ. დონისა



ფილარმონიის დირექტორი დ. სარჯველაძე—თეატრის დირექტორს გ. სამხარაძეს

ამ ახალი საჩუქარით
როგორც ქარი მოვიჩქარი,
სეზონს გავხსნი ზამთარშიაც,
სიხარული გულს ამივსებს,

კონცერტი და ოპერეტა
არ მოვაკლო ქუთაისლებს.
თუმც შენება იყო გრძელი,
თქვენ ახალი, მე კი—ძველი.

კ. გელათელი

კონკურსის შედეგები

ჩვენს მკითხველს ალბათ ეხსომება, რომ „ნიანგმა" ა/წ. № 16-ში გამოაცხადა კონკურსი ერთი დეპეშის ხწორად ამოკითხვისათვის. დეპეშის ტექსტი ახეთი იყო: „თბილისი, ხახელგამი გოდიტიგური დიტერატურის დირექტიას გისარგი იაშვილს — რედაკტორს ვტხოვ გაასცერან შრამა ტავირი შეხედულხბისამებს — გატივტემიტ ვარ ანიანი".



თავხატეხი დეპეშის შინაარხის ზუსტად ამოკითხვისათვის მეორე პრემია, ერთი მადლობის რაოდენობით, მიეკუთვნა ჭ. ჭიჭიას. მიხგან ახეთი პასუხი მივიღეთ:

„არც პრემიას გთხოვთ, არც მადლობას; ჩვენს მიერ მიღებული დეპეშებიც გვეყოფა თავხატეხად. და, საერთოდ, კონკურხი მხგავს დეპეშათა „ავტორების" ალმოხაჩენად რომ ჩაგეტარებინათ, ჩვენ თვითონ გეტყოდით მადლობახ. „გატივტემიტ ვარ ჭიჭია".

მეორე პრემია მიეკუთვნა, აგრეთვე, ძველ ფოხტალიონს—ხ. ხირბილაძეს. მიხგან ახეთი პასუხი მივიღეთ: „დეპეშიხ შინაარხი ვერ ამოვიკითხე, მაგრამ ხელი რაღაც მეცნაურება. დიდი ხანია ეგ თანამშრომელი უნდა მუშაობდეხ ტელეგრაფში, მაგრამ რატომღაც არ ხხნიან. „ნიანგს" ვთხოვ გამოახწოროხ ეხ ამბავი „თავირი შეხედულხბიხამებხ".

მეხამე პრემია, ულრმეხი მადლობის რაოდენობით, მიეკუთვნა ცნობილ ლინგვისტს—შ. შვიდენაძეს.

მიხგან ახეთი პასუხი მივიღეთ: „რომელ ენაზეა დაწერილი დეპეშა?"

მივიღეთ, აგრეთვე, ერთი იურისტის პასუხი, რომელსაც ახე წაუკითხავს ზემოხხენებული დეპეშის ტექსტი: „კანონის მიხედვით, სამსახურით დაკისრებული მოვალეობის დაუდევრად და ზერელედ ახრულებიხათვის, მადლობას არ ეტყვიან არც ტელეგრაფის რიგით მუშაკებს და არც ხელმძღვანელებხსა".

ამით ვამთავრებთ კონკურსს და ხიტყვას ვაძლევთ ფოხტა-ტელეგრაფის ხამმართველოს.

რედაქტორი—ვახტანგ ჭელიძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ო. გიგინეიშვილი, ვ. თორდუა, კ. ლორთქიფანიძე, ხ. ფაშალიშვილი, გ. ჯაში.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги" რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 8-10-49.

გამომც. № 21. ხელმოწ. დასაბ. 28/XI-1955 წ. ქაღ. ზომა 70 x 108 1/8. 0,5. ნაბ. ფურც. 1.37. ფერადი ბეჭდვის სტამბა, მარჯანიშვილის ქ. № 5.
შეკვ. № 1360. უე 07485 ტირ. 25.000

ირანი შეიყვანეს ე. წ. ბაღდადის სამხედრო ბლოკში. ზოგიერთი სახელმწიფოები „ჟენევის სულის“ შენარჩუნებაზე ღაღადებენ, სინამდვილეში კი ჰქმნიან სამხედრო ბლოკებს, რომელშიც სხვა სახელმწიფოებსაც ითრევენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ფიცი გვწამს,

368
27/XII 55



ბოლო გვაკვირვებს“

ნახ. გ. ლომაძისა